ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი № 18

ქ. თბილისი **12.06.2017**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

გრიგოლ მურღულია - ფილოლოგიის დოქტორი, შპს „ამერიკულ-ქართული განათლების ცენტრის" დამფუძნებელი და დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

თამარ ფხალაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის წამყვანი სპეციალისტი, ისტორიკოსი, საბჭოს მდივანი.

რევაზ აფხაზავა - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის" პროგრამების მენეჯერი;

მარინა უშვერიძე - PH-International - საქართველოს ოფისი, სამოქალაქო განათლების პროგრამის დირექტორი;

ქეთევან აბულაძე - სსიპ - ქალაქ თბილისის #126 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე;

არჩილ სუმბაძე - შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისის" აკადემიური დირექტორი;

თამარ კაპანაძე - სსიპ - თბილისი კლასიკური გიმნაზიის დირექტორი;

2. **სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

ლალი შაიშმელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

თამარ ხატიაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კორდინატორი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატი:
   სკოლის დირექტორი- ეპისკოპოსი დიმიტრი (კაპანაძე)
   აღმასრულებელი დირექტორი - თეა სხირტლაძე
2. შპს მომავლის ბიზნეს სკოლა:
   სკოლის დირექტორი - ელიზბარ ბარბაქაზე
3. შპს ამერიკულ- ქართული განათლების ცენტრი:
   გენერალური დირექტორი -გივი გუნცაძე
4. შპს - ქართულ-ინგლისურ სკოლა ბრიტანიკა:
   სკოლის დირექტორი -თამარ მაისურაძე

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):

ნინო ბალანჩივაძე;
ლეილა გველესიანი;
ავთანდილ აბდუშელიშვილი;
ლიანა კობესაშვილი;
კახა ჟღენტი;
მაკა ნადარეიშვილი;
ნოდარ ანგურიძე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანამანთლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე გრიგოლ მურღულია.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 14:20 საათზე, შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ა(ა) იპ-წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს მომავლის ბიზნეს სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ამერიკულ- ქართული განათლების ცენტრის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - ქართულ-ინგლისურ სკოლა ბრიტანიკაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

1. ა(ა) იპ-წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნინო ბალანჩივაძემ და ლეილა გველესიანმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები თითოეული სტანდარტის მიხედვით.

1.1. საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ექსპერტმა ნინო ბალანჩივაძემ აღინიშნა, რომ დაწესებულების სასწავლო გეგმისა და საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებების შესწავლამ აჩვენა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობდა სკოლის მისიიდან და ძირითადად შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას, თუმცა, იყო გარკვეული უზუსტობებიც. მაგალითად:

ა) სასწავლებელში I კლასიდან ისწავლებოდა როგორც ინგლისური, ისე რუსული ენა (გაძლიერებული). ეროვნული სასწავლო გეგმის მე- 40 მუხლის მიხედვით პირველი უცხოური ენის სწავლება იწყება პირველი კლასიდან, ხოლო მეორე უცხოური ენისა – V კლასიდან (გარდა არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის დადგენილი გამონაკლისისა). სკოლა უფლებამოსილი იყო გამონაკლისის სახით, სამინისტროსთან შეთანხმებით, მეორე უცხოური ენის სწავლება დაიწყოს ნებისმიერი კლასიდან. თუმცა მეორე უცხოური ენის სწავლების ნებართვა სამინისტროდან სკოლამ ვერ წარმოადგინა.

ამ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარემ, გრიგოლ მურღულიამ ბრძანა, რომ ეს არის

ფაქტობრივი დარღვევა, რადგან არ შეიძლება სამი სისტემის (ქართული, ინგლისური და რუსული) მიმართულებით ბავშვის ცნობიერების ჩამოყალიბება.

საბჭოს წევრმა, რევაზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ ალბათ მულტი ექთნიკურ გარემოში შეიძლებოდა ამგვარი თავისებურებების გათვალისწინება. საბჭოს წევრის მოსაზრების საპირისპიროდ გრიგოლ მურღულიამ თქვა, რომ არანაირი მიზეზი არ არსებობს ეროვნული სასწავლო გეგმის არსებითი მოთხოვნის დასარღვევად.

ამ დიალოგის შემდგომ, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლის ადმინისტრაციამ, ექსპერტთა სკოლაში ვიზიტის დროსვე, ეროვნული სასწავლო გეგმისა და სკოლა-ინტერნატის დებულების საფუძველზე გამოსცა განკარგულება 2016-2017 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ცვლილებებთან დაკავშირებით. კერძოდ, რუსული ენის სწავლება გაუქმდა I, II, III და IV კლასებში, შევიდა შესაბამისი ცვლილებები საათობრივ ბადეში. რუსულის სწავლება კი განისაზღვრა წრეობრივი ფორმით.

ბ) ექსპერტმა ნინო ბალანჩივაძემ აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმები ზოგადი ხასიათისა იყო და ვერ უზრუნველყოფდა რელევანტურობასა და ვალიდურობას. დაწყებით საფეხურზე (I-IV კლასის) მოსწავლეთა მიმდინარე დავალებების რვეულების გაცნობით დგინდებოდა, რომ განმავითარებელი შეფასებები იყო ზოგადი (მაგ.: „ყოჩაღ", „მეამაყები", „კარგია", „შენგან ამას არ ველოდი", სუფთად იმუშავე და ა. შ.) ამასთანავე, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები იყენებდნენ ე. წ, სტიკერებს, ღიმილებსა და ვარსკვლავებს, რაც ვერ ჩაითვლებოდა განმავითარებელ შეფასებად. თუმცა გვხვდებოდა კონკრეტული რეკომენდაციები, რომლებიც მოსწავლის შედეგზე გასვლას უწყობდა ხელს. მაგალითად: „წინდადადება უნდა გამოხატავდეს დასრულებულ აზრს", „სასვენ ნიშნებს მიაქციე ყურადღება, რა შემთხვევაში იწერება ძახილისა და კითხვის ნიშანი" და ა.შ. ექსპერტებთან საუბრის შემდეგ სკოლის ადმინისტრაციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ დაწყებით საფეხურზე (I-IV კლასებში) ე. წ. სტიკერების ნაცვლად დაინერგებოდა მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასებები, რომლებიც იქნებოდა საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე გათვლილი.

გ) ექსპერტმა დამატებით აღნიშნა, რომ სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგიური კოლექტივი სისტემატურად ზრუნავდა სასწავლო პროცესის განვითარებასა და მის სრულყოფაზე სხვადასხვა აქტივობით როგორიცაა, შემაჯამებელი დავალებების ჩატარება/ანგარიშების მომზადება; სხვადასხვა სახის კონკურსში მონაწილეობა/ანგარიშების მომზადება; გაკვეთილებზე დასწრება

და მათი ანალიზი; კითხვარების მომზადება როგორც მასწავლებლებისათვის, ისე მოსწავლეთა და მშობელთათვის.

1.2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით ექსპერტ ნინო ბალანჩივაძის განმარტებით დაწესებულება აკმაყოფილებდა მატერალური სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ: სკოლა განთავსებული იყო ორ შენობაში, სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა მხოლოდ N1 შენობაში, რომელიც განსაზღვრული იყო დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის. N2 შენობა კი - საბაზო საფეხურის მოსწავლეებისათვის. დაწესებულების ორივე შენობაში 11 საკლასო ოთახი იყო, რომლებიც აღჭურვილი იყო სათანადო ინვენტარით. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სასწავლო პროცესში შეუფერხებელი ჩართვის მიზნით სკოლის ორივე შენობის ძირითად შესასვლელში მოწყობილი იყო სწორკუთხა ფორმის დახრილი ბაქანი (პანდუსი). სასწავლებელში სრულად იყო დაცული პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა.

1.3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით ექსპერტმა ლეილა გველესიანმა აღნიშნა, რომ სკოლა-ინტერნატს ჰყავდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. ძირითადად სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი იყვნენ "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. თუმცა, იყო შეუსაბამობაც, მაგალითად, სპორტის ერთ-ერთ სახეობად სკოლას შერჩეული ჰქონდა ჭადრაკი, რომლის მასწავლებლის პირადი საქმეში არ აღმოჩნდა სათანადო კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი. მასწავლებლის განმარტებით კი ის იყო მე-2 თანრიგოსანი.

ამ საკითხთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მეორე თანრიგი არ ნიშნავდა იმას, რომ მას სწავლების უფლება ჰქონოდა. ამაზე სასწავლებლის აღმასრულებელმა დირექტორმა - თეა სხირტლაძემ უპასუხა, რომ ვინაიდან ჭადრაკის მასწავლებელს კვალიფიკაცია არ უდასტურდებოდა, სკოლის ადმინისტრაციას უკვე გამოცხადებული ჰქონდა ჭადრაკის მასწავლებლის ვაკანია.

ექსპერტის განცხადებით ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით სხვა ხარვეზი არ ფიქსირდებოდა.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო

მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 200 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან ა(ა)იპ- წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ-წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატს (ს/კ: 428518017) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი და საბაზო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200-ით.

2. შპს მომავლის ბიზნეს სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა ავთანდილ აბდუშელიშვილმა და ლიანა კობესაშვილიმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები თითოეული სტანდარტის მიხედვით.

2.1.საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ექსპერტმა ავთანდილ აბდუშელიშვილმა აღინიშნა, რომ დაწესებულების სასწავლო გეგმისა და საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებების შესწავლამ აჩვენა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობდა შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევდა მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.

სხდომის თავმჯდომარემ, გრიგოლ მურღლიამ იკითხა, თუ რამდენად შეესაბამებოდა სკოლის სახელწოდება შინაარსს. ამასთან დაკავშირებით, ექსპერტმა, ლია კობესაშვილმა უპასუხა რომ არჩევით საგნად სკოლას ჰქონდა მეწარმეობა და გაძლიერებული ინგლისური ენა.

საბჭოს წევრმა, მარინა უშვერიძემ, იკითხა მისიიდან გამომდინარე რამდენად იყო შესაძლებელი ბიზნესის უნარ-ჩვევების დანერგვა დაწყებით საფეხურზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ჯუნიორ ეჩივმენტის პროგრამით ჰქონდათ გაკეთებული თითოეული კლასის სასწავლო პაკეტები შესაბამისი პროგრამებით, ასევე

გათვალისწინებული ჰქონდათ საკლუბო მუშაობაც. გარდა ამისა, მესამე საფეხურზე დაამატებდნენ არჩევით საგანს სახელმწიფოს ეკონომიკა და ბიზნესის საფუძვები.

ექსპერტმა, ავთანდილ აბდუშელიშვილიმა აღნიშნა, რომ სკოლა ჩამოყალიბების ეტაპზე იყო და ეს სახელწოდება მათი მხრიდან მარკეტინგული სვლა უფრო იყო.

ამ საკითხთან დაკავშირებით გრიგოლ მურღულიამ დასძინა, რომ სასწავლებლის დასახელებასთან დაკავშირებითნ საბჭომ გარკვეული პოზიცია უნდა დაიკავოს. თუ სკოლის წარმომადგენლები ამბობენ, რომ ბიზნეს სკოლაა, მაშინ ყველა კლასში სავალდებულო უნდა იყოს ის საგანი რომელიც ბიზნესის საკითხებს შეასწავლის მოსწავლეებს.

საბჭოს წევრმა, გიორგი გიგიბერიამ იკითხა, ჰქონდა თუ არა სკოლას რომელიმე უნივერსიტეტთან კავშირი.

ამასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დაწესებულებას კავშირი ჰქონდა ქუთაისის უნივერსიტეტთან, სკოლის დირექტორი კითხულობდა ეკონომიკის კურსს უნივერსიტეტში და მისი სურვილი იყო ბავშვები სკოლიდანვე გარკვეულები ყოფილიყვნენ ეკონომიკის საფუძვლებში.

2.2. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით ექსპერტმა ავთანდილ აბდუშელიშვილმა აღინიშნა, რომ ახალი სკოლის შენობა აღჭურვილი იყო თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, მოწესრიგებული იყო ინფრასტრუქტურა. თუმცა იყო ხარვეზიც, ვიზიტის დროს სკოლამ ვერ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან იჯარის უფლების რეგისტრაციაზე. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლამ მიმართა საჯარო რეესტრს იჯარის უფლების რეგისტრაციის თაობაზე. დაწესებულებამ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა განახლებული რეესტრის ამონაწერი და ამით ხარვეზი აღმოიფხვრა.

2.3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით ექსპერტმა ავთანდილ აბდუშელიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. თუმცა, სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არ იყვნენ ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. სკოლის 4 პედაგოგს არ უდასტურდებოდა მასწავლებლის სტატუსი.

დაწესებულებამ საბჭოზე წარმოადგინა განახლებული ხელშეკრულებები, რითაც ხარვეზი აღმოფხვრილად იქნა მიჩნეული.

ექსპერტმა განმარტა, რომ ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით სხვა ხარვეზი არ ფიქსირდებოდა.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 220 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს მომავლის ბიზნეს სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მომავლის ბიზნეს სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 220-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს მომავლის ბიზნეს სკოლას (ს/კ:430033849) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 220-ით.

3. შპს ამერიკულ- ქართული განათლების ცენტრის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ, გრიგოლ მურღულიამ დაწესებულებასთან არსებული ინტერესთა კონფლიქტიდან გამომდინარე მიმართა საბჭოს წევრებს ამერიკულ- ქართული განათლების ცენტრის ავტორიზაციის საკითხის განხილვაში მონაწილების მიღების აცილების შუამდგომლობით. საბჭომ ერთხმად გაითვალისწინა წარდგენილი შუამდგომლობა და საკითხის განხილვის პერიოდში სხდომის თავმჯდომარეობა დაეკისრა საბჭოს წევრს რევაზ აფხაზავას.

სხდომის თავმჯდომარემ რევაზ აფხაზავამ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა შეკითხვით, დამატებით ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტმა კახა ჟღენტმა. მან აღწერა ვიზიტის შედეგები და დასკვნები თითოეული სტანდარტის მიხედვით.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ექსპერტმა კახა ჟღენტმა აღინიშნა, რომ დაწესებულების სასწავლო გეგმისა და საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებების შესწავლამ აჩვენა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობდა შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევდა მათ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესაძენად. სკოლა ერთი წელიწადია რაც არსებობდა და ამ ეტაპზე ვიზიტი განხორციელდა საბაზო საფეხურის დამატების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ რევაზ აფხაზავამ იკითხა, ჰქონდა თუ არა სკოლას სტრატეგიული განვითარების გეგმაში გათვალისწინებული მესამე საფეხურის დამატების პერსპექტივა.

ექსპერტმა უპასუხა, რომ დაწესებულებას ამჟამადაც ჰქონდა მესამე საფეხურის დამატების ადამიანური და მატერიალური რესურსი, რადგან ჰქონდათ 13 საკლასო ოთახი და ასევე დამხმარე ოთახები, ჰქონდათ 22 კომპიუტერი.

3.2. ადამიანურ რესურსთან მიმართებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. სკოლა ჩართული იყო მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში, 30 პედაგოგიდან სტატუსი მინიჭებული არ ჰქონდა 11 პედაგოგს. მათი სტატუსის თაობაზე დაწესებულებას მასწავლებლეთა სახლისათვის მიწერილი ჰქონდა წერილი. სკოლას შექმნილი ჰქონდა შეფასების ჯგუფი და ახორციელებდა სქემით განსაზღვრულ პროცედურებს.

სკოლას ასევე შემუშავებული ჰქონდა პროფესიული განვითარების მექანიზმები, რომელიც მოიცავს პედაგოგთა საჭიროებების დადგენას და პროფესიული განვითარების სისტემის ჩამოყალიბებას.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალურ და ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით არანაირი ხარვეზი არ ფიქსირდებოდა.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 215 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს ამერიკულ- ქართული განათლების ცენტრის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ამერიკულ- ქართული განათლების ცენტრის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 215-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ამერიკულ- ქართული განათლების ცენტრს (ს/კ: 404856875) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი და საბაზო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 215-ით.

4. **შპს - ქართულ-ინგლისურ სკოლა ბრიტანიკაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა ნოდარ ანგურიძემ და მაკა ნადარეიშვილმა, მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები თითოეული სტანდარტის მიხედვით.

4.1. საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ექსპერტმა ნოდარ ანგურიძემ აღინიშნა, რომ:
ა) დაწესებულების სასწავლო გეგმისა და საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებების შესწავლამ აჩვენა, რომ 2016/17 სასწავლო წელს სკოლამ სწავლა დაიწყო 1 სექტემბერს. წარმოდგენილი სასწავლო გეგმა კი დამტკიცებული იყო 2016 წლის 27 სექტემბერს დირექტორის # 2-05/14ა ბრძანებით. აღნიშნულით დარღვეულია ეროვნული სასწავლო გეგმის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის მიხედვითაც სასკოლო სასწავლო გეგმა უნდა დამტკიცდეს ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე.

ბ) სკოლამ ვერ წარმოადგინა რაიმე ნებართვა 1 სექტემბერს სწავლის დაწყებასთან დაკავშირებით, თუმცა მათ მიერ ითქვა, რომ აღნიშნულის შესახებ სიტყვიერად ინფორმირებული იყო შესაბამისი რესურსცენტრი. 1 სექტემბერს სწავლის დაწყებით დარღვეულია იმ პერიოდისთვის მოქმედი (ეს ნორმა ახლაც მოქმედია) „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო წლისა და არდადეგების დაწყებისა და დასრულების თარიღების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 3 სექტემბრის #84/ნ ბრძანების მე-6 პუნქტის მოთხოვნა.

გ) უზუსტობა იყო სკოლაში არსებულ მოსწავლეთა შეფასების სისტემაში, ის არ შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას. მოსწავლეები ფასდებოდნენ 100 ქულიანი სისტემით, ეს კი ეწინააღმდეგებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის მე-17 მუხლის პირველ პუნქტს. საჭიროების შემთხვევაში ხდება 100 ქულიანიდან 10 ქულიანზე კონვერტირება, თუმცა აქაც არის შეუსაბამობა, კერძოდ შეფასების სისტემის 4.4 პუნქტის „ქულების დამრგვალების წესის" მიხედვით 10 ქულიანის 1-იანს შეესაბამება 100 ქულიანის 14 ქულა (0-14), მაშინ როცა 10 ქულიანის 10-იანს კი შეესაბამება 100 ქულიანის 6 ქულა (95-100), ხოლო დანარჩენი ქულების კონვერტირებისას გათვალისწინებულია 10 ქულიანი ბიჯი. ასეთი განაწილება კი არაპროპორციულია.

საბჭოს წევრმა, რევაზ აფხაზავამ იკითხა რომ, გაურკვევლი იყო 55 და 56 ქულას შორის განსხვავება, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელი უპასუხა, რომ 100 ქულიანი სისტემა დანერგილი ჰქონდათ პირველი ავტორიზაციიდან მოყოლებული.

დ) ექსპერტმა ნოდარ ანგურიძემ გააგრძელა ვიზიტის შედეგების აღწერა და აღნიშნა, რომ პირველ სემესტრში სკოლას არასწორად ჰქონდა გაკეთებული მოსწავლეთა სემესტრული შეფასება. კერძოდ, სკოლამ ჩაატარა სავალდებულო სემესტრული გამოცდა (სასკოლო წერა), მისი ნიშანი დააჯამა სემესტრის განმავლობაში კომპონენტების - საშინაო დავალება, საკლასო სამუშაო და შემაჯამებელი დავალებების საშუალო არითმეტიკულთან და ჯამი გაყო ორზე. აღნიშნულის გამოსასწორებლად სასკოლო შეფასების სისტემაში 2017 წლის 23 თებერვალს დირექტორის #2*05/54 ბრძანებით შეტანილი იყო ცვლილება, რომლის მიხედვითაც სემესტრული შეფასების გამოთვლის ასეთი წესი შემოიღო- მიმდინარე შეფასებას (საშინაო დავალება, საკლასო დავალება) დაემატოს შემაჯამებელო დავალების შეფასება (მიმდინარე შემაჯამებელი დავალებების საერთო ქულა+სასკოლო წერის შეფასება) და ჯამი გაიყოს ორზე. სემესტრული ნიშნის გამოთვლის ასეთი წესი არ შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მე-20 მუხლის პირველ პუნქტს.

ე) დაწესებულებას ასევე არასწორად ჰქონდა ჩატარებული სასკოლო წერები, რომლებიც თავისი შინაარსით გამოცდა იყო. ასეთი სასკოლო წერები ჩატარდა დაწყებით საფეხურზე V-VI კლასებშიც და საბაზო/საშუალო საფეხურზეც, ამასთან ჩატარდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა სავალდებულო საგანში, სკოლა მეორე სემესტრის ბოლოსაც გეგმავს ასეთი „სასკოლო წერების" ჩატარებას. ასეთი ქმედება არ შეესაბამებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის 232 მუხლის მოთხოვნებს, რომელიც მართალია წლიურ გამოცდებს შეეხება, მაგრამ კონტექსტი მუხლისა არის მოსწავლეთა სასწავლო პროცესის განტვირთვა. დაწესებულების

შეფასების სისტემის 4,9 პუნქტში „გამოცდის ტიპები“ სემესტრული გამოცდა ინიშნება მასწავლებლის რეკომენდაციით, კლასის მოსწავლეთა უკეთესი აკადემიური შედეგების მიღწევის მიზნით ან იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე თვლის, რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის. აღნიშნული არ შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის 231 მუხლს, რომელიც მხოლოდ მეორე შემთხვევას ითვალისწინებს.

ამავე პუნქტში წლიურ გამოცდასთან დაკავშირებით ნათქვამია, რომ წლიური გამოცდის დანიშვნა/არ დანიშვნას, რომელ საგნებში და კლასებში იქნება, წყვეტს სკოლა სასწავლო წლის დაწყებამდე, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო წელი მთავრდება და სასკოლო სასწავლო გეგმა დაამტკიცდა სასწავლო წლის დაწყებამდე, სკოლას წლიური გამოცდის საკითხი განსაზღვრული არ ჰქონდა.

საბჭომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სკოლას მიეცა არგუმენტირებული წინადადება აღნიშნული საკითხის მოგვარების მიზნით. საბჭოს წევრების რეკომენდაცია ეხებოდა სკოლაში ხარისხის გაუმჯობესების ალტერნატიული მექანიზმების დანერგვას.

4.2 მატერიალურ რესურსთან მიმართებით ექსპერტმა ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ:
ა) სკოლაში არ იყო ადაპტირებული სველი წერტილი, თუმცა სკოლის შენობის პირველ სართულზე არსებული სველ წერტილების შესასვლელის გაფართოებით, შესაძლებელი იყო ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობა.

ბ) ასევე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი შინაგანაწესში ცვლილების შეტანის ბრძანების და თავად შინაგანაწესის ზოგიერთი პუნქტი არ იყო შესაბამისი მოქმედ კანონმდებლობასთან, კერძოდ:

- შინაგანაწესის 2.2 პუნქტის მიხედვით „საშტატო განრიგსა და თანამდებობრივ სარგოს ამტკიცებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, დირექტორის წარდგინებით“. კერძო სკოლის საშტატო განრიგის და მით უმეტეს თანამდებობრივი სარგოს დამტკიცება არ შედის მინისტრის მოვალეობებში.
- შინაგანაწესის 3.2 და 3.3 პუნქტები გვამცნობს სწავლის დაწყებას 1 სექტემბერს და იმას, რომ არდადაგების გრაფიკს შეიმუშავებს სკოლის დირექტორი. ეს კი განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოვალეობაა, რომელიც განხორციელებულია 2010 წლის 3 სექტემბრის „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო წლისა და არდადეგების დაწყებისა და დასრულების თარიღების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის #84/ნ ბრძანებით;

- 4.1 პუნქტით კი „სკოლის მოსწავლეთა დასაშვებ კონტინგენტს, სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გათვალისწინებით, განსაზღვრავს სკოლის დირექტორი“. ეს კი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს ფუნქციებია.
- 4.17 პუნქტის მიხედვით „მოსწავლე, რომელსაც სემესტრის განმავლობაში გაცდენილი აქვს საგნის ან საგანთა ჯგუფის 1/3-ზე მეტი არ ფასდება საგნის მასწავლებლის მიერ. ხოლო მოსწავლე, რომელსაც სასწავლო წლის განმავლობასი დაუგროვდება 1/3-ზე მეტი არასაპატიოდ გაცდენილი სასწავლო დღეები, რჩება იმავე კლასში“. აღნიშნული პუნქტი ეწინააღმდეგებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტს.
- 4.21 პუნქტი კი გვამცნობდა „სხვა სკოლიდან გადმოყვანის შემთხვევაში, მოსწავლის მშობელი და/ან კანონიერი წარმომადგენელი, ვალდებულია წარმოადგინოს მოსწავლის აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი დოკუმენტი, პირადი საქმე, მიმდინარე შეფასება, ბრძანების ამონაწერი ამორიცხვის შესახებ;“ აღნიშნული ეწინააღმდეგება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის 193/ნ ბრძანების მე-3 მუხლის მე-7 პუნქტს.

აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ შეიტანეს შესაბამისი ცვლილებები შეინაგანაწესში და საბჭოს წარუდგინა სკოლის შინაგანაწესი, რის შემდეგაც საბჭომ შინაგანაწესთან დაკავშირებული ხარვეზი გამოსწორებულად მიიჩნია.

4.3 ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ ზოგიერთი მასწავლებლის პირად საქმეში არ იყო განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი, თუმცა მათ მინიჭებული ჰქონდათ სქემით განსაზღვრული მასწავლებლის სტატუსი. მასწავლებლებიდან 4 მასწავლებელს არ ჰქონდა სტატუსი მინიჭებული, ამათგან ერთი დამატებით სავალდებულო საგანს - იაპონურს ასწავლიდა და ცხადია მას საგნის გამოცდა ჩაბარებული ვერ ექნებოდა და შესაბამისად სტატუსიც არ ჰქონდა. რაც შეეხებოდა ფიზიკისა და ისტ-ის მასწავლებლებს, მათ ჰქონდათ ფიზიკის ბაკალავრისა და საინჟინრო ბაკალავრის კვალიფიკაციები, მაგრამ მათ დიპლომში არ იყო მითითებული მასწავლებლის კვალიფიკაცია. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განხორციელებული მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობაა საგნის გამოცდის ჩაბარება, რაც არც ერთ მათგანს არ ჰქონდა ჩაბარებული და არც

მიმდინარე წელს იყვნენ დარეგისტრირებული საგნობრივი კომპეტენციის დადასტურების გამოცდაზე. ამასთან, ისტ-ის მასწავლებელს არ ჰქონდა ეროვნული სასწავო გეგმის შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის შესაბამისი განათლება.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს წარუდგინა მონიტორინგის ვიზიტის დროს გამოვლენილ დარღვევებზე რეაგირების ამსახველი დოკუმენტაცია, სკოლის დირექტორის 56 ბრძნება შინაგანაწესში ცვლილებების შეტანის შესახებ, 65/ა ბრძანება სასწავლო გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ, 66 ბრძანება თანამშრომლების შრომით ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

საბჭომ იმსჯელა რამდენად აკმაყოფილებდა აღნიშნული რეაგირება ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს. საბჭოს წევრმა მარინე უშვერიძემ აღნიშნა, რომ მისთვის არ იყო საკმარისი წარმოდგენილი მტკიცებულებები და მოითხოვა დამატებითი განმარტებები დაწესებულების მხრიდან, კონკრეტულად რისი გამოსწორება მოხდა ავტორიზაციის ვიზიტის დროს აღმოჩენილი დარღვევებიდან მონიტორინგის ვიზიტამდე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ რეაგირება მოახდინეს თითქმის ყველა ხარვეზზე და დანარჩენ რეკომენდაციებსაც გაითვალისწინებდნენ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს-ქართულ-ინგლისურ სკოლა ბრიტანიკის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 8

გადაწყვეტილება:

შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - ქართულ-ინგლისურ სკოლა ბრიტანიკის (ს/კ:200193673) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

თავმჯდომარე

გრიგოლ მურღულია

რევაზ აფხაზავა

მდივანი

თამარ ფხალაძე